

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №15

ქ. თბილისი

08.11.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International, სხდომის თავმჯდომარე;

ირაკლი ბაიდაშვილი - საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი და ხაზინადარი, GMT group -ის ვიცე პრეზიდენტი, საბჭოს სხდომის მდივანი;

ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;

მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:

ზურაბ ბერიძე - დირექტორი;

რევაზ სანდროშვილი - ხარისხის მენეჯერი;

ხათუნა ინაშვილი - წარმომადგენელი;

ა(ა)იპ - სარკინიგზო სატრანსპორტო კოლეჯის წარმომადგენლები:

დავით საზანდარიშვილი - დირექტორი;

მანანა მოისწრაფიშვილი - ხარისხის მენეჯერი;

შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიების კოლეჯის წარმომადგენლები:

ბადრი ტარიელაშვილი - დირექტორი;

შპს კოლეჯ გამის წარმომადგენლები:

ნესტან აბსავა - დირექტორი;

ნანა აბსავა - მასწავლებელი;

შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის წარმომადგენელი:

გენადი ცეციაია - დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ეკატერინე გიგაშვილი;

ქეთევან ჯანელიძე;

ელენე გვენცაძე;

შორენა ჯაფარიძე;

მარინა გოგოლაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:45 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ჩაჩხიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიების კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კოლეჯ გამაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ეკატერინე გიგაშვილმა და ქეთევან ჯანელიძემ.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

- ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი): პროგრამაზე დაშვების პირობა სტანდარტის მიხედვით იყო საბაზო განათლება, ხოლო წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ფორმულირებული იყო არასწორად, მითითებული საბაზო საფეხური ან სრული ზოგადი განათლება. პროგრამის მოცულობა იყო 60 კრედიტი, ერთი კრედიტის მოცულობა 25 საათი, პროგრამის ხანგრძლივობა 36 კვირა, ყოველი სასწავლო კურსი მიმდინარეობდა 18 კვირის განმავლობაში. საწარმოო პრაქტიკის განხორციელება წარმოდგენილი პროგრამის და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით მიმდინარეობდა სწავლების პირველი კვირიდან თეორიული სწავლების პარალელურად, ორი სემესტრის 18-18 განმავლობაში. პრაქტიკის ხელმძღვანელის განმარტებით აღნიშნული გახლდათ კოლეჯის ხედვა, ორ სემესტრად განხორციელებულიყო დასაწყისიდანვე პრაქტიკა საწარმოში. რაც შეეხებოდა საწარმო პრაქტიკის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის განკუთვნილი იყო 16 საათი, რაც პროგრამის სასწავლო გეგმითაც დგინდებოდა, მაგრამ შუალედური შეფასებები ხორციელდებოდა ყოველი სემესტრის მე-7 და მე-16 კვირაში, ხოლო დასკვნითი გამოცდისათვის მე-16 კვირაში განსაზღვრული იყო 2 საათი, ხოლო განმეორებითი გამოცდისათვის იმავე კვირაში 2 საათი, სულ 4 საათი დასკვნითი გამოცდისათვის. აღნიშნული სასწავლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებდა სტუდენტის მიერ დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლებას ათი დღის ვადაში და არა ერთი კვირის განმავლობაში. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კომპონენტები გახლდათ პრაქტიკაზე დასწრება, აქტიურობა, ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება და დასკვნითი გამოცდა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში პროგრამის ხელმძღვანელმა წარმოადგინა სილაბუსის ახალი ვერსია, რომელიც ტესტირების ნაცვლად ითვალისწინებდა ზეპირ გამოკითხვას. არცერთი სილაბუსი არ იყო ხელმოწერით დადასტურებული სილაბუსის ავტორის მიერ და ახალი ვერსია არ იყო დამტკიცებული დირექტორის მიერ;
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი: მეოთხე საფეხურის მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა იყო 60 კრედიტი - 1500 საათი,

სასწავლო კურსები ძირითადად 3, 4 და 5 კრედიტიანი იყო. ერთი კრედიტის მოცულობა 25 საათი იყო, პრაქტიკას ეთმობოდა 24 კრედიტი. ყველა სასწავლო კურსი გახლდათ 18 კვირიანი, სწავლება ორ სემესტრიანი და 54 სასწავლო კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებდა სასწავლო კურსის შესაბამისი კოდისათვის ადგილს და ჰქონდა კოდი, ზოგიერთს კი არა. პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებს არ ჰქონდათ განსაზღვრული კურსზე დაშვების წინაპირობები, გარდა საწარმოო პრაქტიკისა, რომლის წინაპირობას წარმოადგენდა თეორიული კომპონენტით განსაზღვრული სასწავლო კურსების გავლა. არცერთი სილაბუსი არ იყო პროფესიული მასწავლებლის ან/და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერით დადასტურებული;

- ექთნის თანაშემწე: წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ეწერა, რომ „საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს საბაზო, სრული განათლების საფეხური“, რაც თავისთავად იყო ბუნდოვანი პოტენციური მსურველისათვის და ნიშნავდა რომ ორივე საფეხური აუცილებელი იყო ჩაირიცხვისათვის. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კი საბაზო საფეხური საკმარისი იყო მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად. პროგრამის ხანგრძლივობა იყო 81 სასწავლო კვირა, 54 სასწავლო კომპონენტისათვის და 27 პრაქტიკისათვის. ყველა სასწავლო კურსის ხანგრძლივობა იყო 18 კვირა, მხოლოდ სასწავლო კურსები „ინგლისური ენა“ და „ექთნის თანაშემწის საქმე“ მიმდინარეობდა 36 კვირის განმავლობაში. საწარმოო პრაქტიკისათვის ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის სასწავლო პროგრამაში საათები არასწორად იყო განაწილებული. კერძოდ: პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო 36 კრედიტი, 0-სალექციო საათი, 0-სასწავლო პრაქტიკისათვის, 0-საწარმო პრაქტიკის გრაფაში 10 საათი შეფასებისათვის, ჯამში 1080 საათი, მაგრამ საწარმო პრაქტიკის სილაბუსში მითითებული იყო 36 კრედიტი - 720 საათი და სასწავლო თემებისა და კვირების მიხედვით საათების ჯამი იყო 1080 საათი და შეესაბამებოდა სილაბუსის სხვა ჩანაწერებს. სილაბუსის გაანგარიშებით 720 საათი - 36 კრედიტი, ერთი კრედიტი იყო 20 საათი, ხოლო ამავე პროგრამაში 1080 საათი - 36 კრედიტი, ანუ ერთი კრედიტი იყო 30 საათი. საწარმო პრაქტიკის სილაბუსში დაშვების წინაპირობად განსაზღვრული იყო თეორიული კურსის გავლა, მაგრამ რომელი თეორიული კურსი იყო სავალდებულო წინაპირობა მაგრამ არ იყო გააზრებული თუ რა შემთხვევაში დაიშვებოდა პროფესიული სტუდენტი საწარმო პრაქტიკაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებით გადამოწმდა და დადგინდა რომ დაწესებულება უშვებდა გამონაკლისებს ზოგიერთ შემთხვევაში თეორიული კომპონენტის სრულად დაძლევის გარეშე გაეშვათ სტუდენტი საწარმოო პრაქტიკაზე, პრაქტიკის განხორციელების შესახებ რაიმე რეგულაცია დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.

საწარმო პრაქტიკის დროს პროფესიულ სტუდენტს საერთოდ არ ჰქონდა შესაძლებლობა დამოუკიდებლად განეხორციელებინა შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა და ბავშვთა მზრუნველობის მიმართულებით დაედასტურებინა სტანდარტით და პროგრამის მიზნით განსაზღვრული/მოთხოვნილი კომპეტენცია. გარდა ამისა, საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსში პირველ გვერდზე მითითებული იყო პრაქტიკის მასწავლებელი - ფართო პორფილის ექიმი (დავით ბაშარული), ხოლო ბოლო გვერდზე პრაქტიკის ხელმძღვანელად მითითებული იყო ეთერ ხმაღამე.

საწარმო პრაქტიკის შეფასების სისტემა იყო გაუაზრებელი, კერძოდ, პრაქტიკის შეფასება ხორციელდებოდა შემდეგი კომპონენტების საშუალებით: პრაქტიკის დღიურის წარმოება-გამოცხადებით 20 ქულა, პრაქტიკის ანგარიში - 40 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა. შესაბამისად საწარმო პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები იყო პრაქტიკის დღიურის წარმოება და პრაქტიკაზე გამოცხადება. პრაქტიკის ანგარიში მოიცავდა თანდართულ

დოკუმენტაციას, ხოლო დასკვნითი გამოცდა ტარდებოდა ტესტირებით. ვერც სილაბუსით და ვერც პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებით ვერ დადგინდა კომპონენტის წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების გამჭვირვალობა და გარდა ამისა მისივე განმარტებით ტესტირებით პრაქტიკული კომპონენტის შეფასება იყო არაეფექტური. ინგლისური ენის სასწავლო კურსის სილაბუსში შესაბამის გრაფაში მითითებული სამუშაო ჯგუფში მუშაობის მასწავლებელი (გოარ ნახაპეტიანი) აღნიშნული ტერმინი არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლის განმარტებას.

- ფარმაცევტის თანაშემწე: პროგრამის მოცულობა იყო 120 კრედიტი-3600 საათი, სწავლის ხანგრძლივობა თეორიული კომპონენტისათვის შედაგენდა 72 საათს, პრაქტიკული კომპონენტისათვის 48 საათს. საწარმო პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით ვერ დგინდებოდა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა, კერძოდ: შეფასებისათვის სასწავლო პროგრამის სასწავლო გეგმაში არ იყო გათვალისწინებული შეფასების საათები, სასწავლო პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით კურსზე დაშვების პირობა არ იყო განსაზღვრული, რაც აჩენდა შესაძლებლობას, რომ სტუდენტს პრაქტიკა გაეცლო თეორიული კომპონენტის გავლის გარეშე, რაც დადასტურდა გასაუბრების დროს დირექტორის მოადგილის მიერ, ამავდროულად პრაქტიკის ხელმძღვანელმაც. სტუდენტთა შეფასების კომპონენტები იყო პრაქტიკის დღიურის წარმოება და პრაქტიკაზე გამოცხადება, პრაქტიკის ანგარიში, თანდართული სოკუმენტაციის სისრულე და დასკვნითი გამოცდა ტესტის სახით, თუმცა სილაბუსი არ შეიცავდა ინფორმაციას თუ რა ფორმით და კრიტერიუმებით მოხდებოდა აღნიშნულ კომპონენტებში პროფესიული სტუდენტის შეფასება, რა ტიპის ტესტით მოხდებოდა პრაქტიკული უნარების შეფასება ან რამდენად ადექვატურად შეაფასებდა ტესტი პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ უნარებს.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც კოლეჯის მიერ საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით იგეგმებოდა ცოდნის გადაცემის და პრაქტიკის განხორციელება. დაწესებულების მიერ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები. ყველა პროგრამისათვის ხელშეკრულებები იყო სტანდარტულად ერთნაირი ფორმის, შინაარსის. იყო ზოგადი და არ კონკრეტდებოდა შესრულების პირობები, პრაქტიკის ვადები, პრაქტიკის საგანი, მიზანი, ამოცანები და შედეგები. გასაუბრებით დადასტურდა, რომ პრაქტიკის განმახორციელებლები არ იცნობდნენ კონკრეტულად პრაქტიკის სილაბუსს. გარდა ამისა ხელშეკრულების საგანში ეწერა, რომ დამსაქმებელი მოვალე იყო სწავლის დასრულების შემდეგ ეხრუნა კოლეჯის კურსდამთავრებულის დასაქმებაზე რაც თავის მხრივ გახლდათ დისკრიმინაციული ჩანაწერი. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად მათ გამოთქვეს ხელშეკრულებების შეცვლის მზაობა და დაიწყეს აღნიშნულზე მუშაობა.

- დაწესებულების წესდებით განსაზღვრული იყო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების. შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები; შინაგანაწესის მე-6 მუხლი განსაზღვრავდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესსა და პირობებს, ხოლო ამავე დოკუმენტის 7.1 პუნქტის თანამხმად პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, თუმცა შინაგანაწესში შეტანილი იყო ცვლილება, რომელთა საფუძველზე ბათილად იყო ცნობილი აღნიშნული პუნქტი და ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე. კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დაზუსტდა რომ მიღებისას კონკურსის არსებობის

- შემთხვევა ჯერ არ იყო დაფიქსირებული, ამიტომ არ იყო გათვალისწინებული კონკურსის არსებობის შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურა;
- ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად ატარებდა გამოკითხვებს, ახორციელებდნენ ლექციებზე ურთიერთდასწრებას, მაგრამ აღნიშნული გამოკითხვების შედეგების ნაწერი ვერსიები, შევსებული კითხვარები ან ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა გამოკითხვისას წარმოადგინა ოქმი რომლის მიხედვითაც სტატისტიკურად იყო გადმოცემული გამოკითხულ სტუდენტთა რაოდენობა.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- ა(ა)იპ - „ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯში“ საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის გამოყოფილი იყო 4 აუდიტორია, სადაც მოთავსებული იყო მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდები და დაფები. (სულ 39 მერხი, 79 სკამი, 4 დაფა), ასევე იყო ეგრეთწოდებული პრაქტიკული თვალსაჩინოების ოთახი, რომელიც იყო საკმაოდ პატარა და მოუხერხებელი ლექციის ჩასატარებლად, თუმცა აღნიშნულ ოთახში მრავლად იყო წარმოდგენილი სამედიცინო მულიაჟები, იდგა 7 სკამი, 3 მერხი და 1 დაფა. სასწავლო პროცესში არ გამოიყენებოდა საპროექციო საშუალებები (პროექტორები);
- სველი წერტილები იყო ეგრეთწოდებული „თურქული“, მოუწესრიგებელი იყო წყლის ჩამრეცხი მექანიზმები, ტუალეტები არ იყო მოპირკეთებული და ვერ აკმაყოფილებდა სანიტარულ ნორმებს, ასევე არ არსებობდა ადაპტირებული სველი წერტილები;
- შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად ბიბლიოთეკის დებულებაში არსებული ჩანაწერისა, რომ ერთ წიგნის ფლობის შემთხვევაში დაუშვებელი იყო წიგნის ბიბლიოთეკიდან გატანა, მთელ რიგ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა არ იყო შემოწმების დროს ადგილზე. აღნიშნული ეხებოდა ექთნის თანაშემწის, მცირე ბიზნესის მწარმოებლის და ფარმაცევტის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამებს;
- კოლეჯში იყო ერთი კომპიუტერული კლასი, სადაც იდგა 7 კომპიუტერი. ამათგან მხოლოდ 4 კომპიუტერი იყო ჩართული ინტერნეტ ქსელში, 5 კომპიუტერი გამოიყენებოდა ადმინისტრაციის თანამშრომლების საქმიანობისათვის;
- კოლეჯის დერეფანში განთავსებული იყო ხანძარსაწინააღდეგო სტენდი შესაბამისი ინვენტარით, ორი ცეცხლმაქრი, რომელთა ვიზუალური დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ორივე ცეცხლმაქრი იყო გადასამუხტი და გამოსაყენებლად გამოუსადეგარი. კოლეჯის შესასვლელში გაკრული იყო საევაკუაციო გეგმა, რომელიც არ იყო სტანდარტების შესაბამისად შესრულებული და დამტკიცებული;
- დაწესებულების ვებ გვერდი www.axalsazkol.ge ნაწილობრივ ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, მასზე განთავსებული ინფორმაცია ბევრი დოკუმენტის სრულფასოვნად ნახვის საშუალებას არ იძლეოდა. შესაძლებელი იყო ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმის ნახვა. ინფორმაციის ნახვა დირექტორისა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა შესახებ. ასევე შესაძლებელი იყო ახალი ამბების დათვალიერება, ხოლო სხვა ინფორმაცია იყო ხელმიუწვდომელი;
- დაწესებულების მიერ შემუშავებული იყო განვითარების გრძელვადიანი 2016-2022 სამოქმედო გეგმა, რომელშიც არ იყო გაწერილი მითითებულ აქტივობებთან და სტრატეგიებთან დაკავშირებით კონკრეტული ვადები, პასუხისმგებელი პირები, დოკუმენტი ატარებდა ზოგადი ნარატიული ტექსტის ხასიათს.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- ექთნის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამას სრულად განახორციელებდნენ პორფესიული მასწავლებლები, რომელთაც არ ჰქონდათ ექთნად მუშაობის გამოცდილება;
- პირადი საქმეების შემოწმებისას დადგინდა, რომ ყველა ხელშეკრულება (როგორც პროფესიულ მასწავლებლებთან ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლებთან) გაფორმებული იყო ერთი წლის ვადით, ხოლო წარმოდგენილი პროგრამების ხანგრძლივობა იყო ერთ წელზე მეტი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული დაწესებულების საკითხის განხილვა საბჭოზე ხდებოდა ხელმეორედ ვინაიდან 2016 წლის 2 ნოემბრის სხდომაზე საკითხი გადადებული იქნა, დაწესებულების მიერ ვიზიტის შემდგომ ცენტრში გადმოგზავნილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია რომელიც სავარაუდოდ მოიცავდა გამოსწორებულ მასალას და რომელიც საჭიროებდა დამატებით შესწავლას როგორც ექსპერტების ასევე საბჭოს წევრების მიერ. დოკუმენტაციაში ცვლილებები ნამდვილად იყო სახეზე, გასწორებული იყო ძირითადი ნაწილი, მაგრამ არსებობდა რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა: დოკუმენტების ნაწილი არ იყო სათანადოდ დამოწმებული რაც ეჭვის ქვეშ აყენებდა მათ ლეგიტიმურობას თუმცა ჩანდა რომ დაწესებულებას მართლაც ჰქონდა ნამუშევარი დასკვნის მიხედვით და დაწყებული ჰქონდა ხარვეზების გამოსწორება. შეუცვლელი იყო კომპონენტების გაწერასთან დაკავშირებული საკითხი, შესაბამისად არცერთ სილაბუსში არ ჩანდა როგორ უნდა მიეღო ქულები სტუდენტს სხვადასხვა კომპონენტისათვის. სხვადასხვა პროგრამებში სადაც არ ჰქონდათ მითითებული ლიტერატურა დაწესებულების მიერ ჩანაცვლებული იყო უფრო ძველი ლიტერატურით ვიდრე მითითებული იყო პროგრამაში. იყო თუ არა აღნიშნული ლიტერატურა ბიბლიოთეკაში ექსპერტებმა არ იცოდნენ ვინაიდან არ ჰქონდათ გადამოწმების საშუალება.

ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას მათ ნახეს მცირე ბიზნესის მწარმოებლის ინგლისური ენის სასწავლო კურსში მასწავლებლის ადგილას მითითებული ჯგუფში მუშაობის მასწავლებელი ფიგურირებდა დაწესებულების მიერ გამოსწორებულ დოკუმენტაციაში ფარმაცევტის თანაშემწის სილაბუსში. ფარმაცევტის თანაშემწის საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში კვირები სწორად ჰქონდათ განაწილებული, მაგრამ პრაქტიკის ანგარიშის გადაბარების არსებობა მათთვის გაურკვეველი იყო. აგრეთვე ფარმაცევტის თანაშემწის სილაბუსში ჩამატებული იქნა საწარმოო პრაქტიკის თვალსაზრისით მაღამობის დამზადების კომპონენტი რაც მოიაზრებდა ლაბორატორიულ სამუშაოებს. აღსანიშნავი იყო, რომ ექსპერტების მიერ ნანახ პრაქტიკის ობიექტებზე აფთიაქებში არ იყო ლაბორატორია.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარმოუდგინა ნახაზი და ფოტომასალა ადაპტირებულ სველ წერტილთან და პანდუსებთან დაკავშირებით. თავად წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველაფერი გაკეთებული იქნა 3-4 დღის ვადაში.

თავმჯდომარე დაინტერესდა ბიბლიოთეკის ფონდთან დაკავშირებით, კერძოდ მას აინტერესებდა თუ რატომ მოხდა სახელმძღვანელოების ჩანაცვლება, ვინაიდან წინა სხდომაზე ითქვა რომ სახელმძღვანელოები იყო გატანილი, თუ ვერ მოხერხდა მათი დაბრუნება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დროის ფაქტორის გათვალისწინებით მოხდა შენიშვნების გათვალისწინებაც, ზოგიერთი ლიტერატურა სილაბუსებში იყო შეცვლილი, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი ჰქონდათ დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ გამოსწორებულ დოკუმენტაციაში მაინც ფიქსირდებოდა მრავალი შეცდომა და ხარვეზი რომელიც როგორც ჩანდა არ ყოფილა გამოსწორებული, დაწესებულება მოქმედი გახლდათ წლების მანძილზე, შეეძლოთ მიემართათ სხვა კოლეჯებისათვის სადაც ფაქტიურად ხორციელდებოდა ერთი და იგივე პროგრამები, შეფასების კრიტერიუმების გაუმართაობა გახლდათ ბევრად მნიშვნელოვანი ხარვეზი ვიდრე ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული პრობლემები რაც ელექტრონულადაც შეიძლებოდა მოგვარებულიყო.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოტანილი ჰქონდათ გამოსწორებული სილაბუსები, სადაც პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ჰქონდათ ჩაშლილი და მიმართა საბჭოს გაცნობოდნენ დოკუმენტაციას.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამწუხაროდ სხდომაზე ვერ მოხდებოდა ახალი დოკუმენტების შესწავლა ვინაიდან განხილვა ეყრდნობოდა მხოლოდ ცენტრში გადმოგზავნილ მასლას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ არ უნახავთ დაკორექტირებული შეფასების კომპონენტები. საინტერესო იყო როგორ მოახრხებდნენ პრაქტიკის ანგარიშის ქულობრივად შეფასებას თუ არ იქნებოდა მკაფიოდ გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. დასკვნაში ნათლად იყო გაწერილი თუ რაში მდგომარეობდა ხარვეზი და თუ დაკვირვებით გაეცნობოდნენ თავისუფლად შეეძლოთ გამოესწორებინათ მდგომარეობა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წინა სხდომაზე საკითხი გადადებული იქნა, საბჭო ეცადა მაქსიმალურად შეეწყო დაწესებულებისათვის ხელი, მაგრამ შენიშვნები მაინც ფიქსირდებოდა, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფოტოები სადაც ასახული იყო ადაპტირებული სველი წერტილები არ შეესაბამებოდა სრულად სტანდარტის მოთხოვნებს. ნახაზს არ ჰქონდა არც ბეჭედი და არც ხელმოწერა შესაბამისად საბჭო ვერ იხელმძღვანელებდა ნახაზითაც.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუშაობა ადაპტირებულ გარემოზე დაიწყო სამ ნოემბერს, სამუშაოები გაგრძელდა შაბათ-კვირას, რეალურად სულ რამოდენიმე დღეში მოხდა სველი წერტილის გამართვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ:424065692) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

2. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ეკატერინე გიგაშვილმა და ქეთევან ჯანელიძემ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შემოტანილი ჰქონდა მხოლოდ სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც აპირებდა ათი სტუდენტის მიღებას ორ ცვლაში, ინფრასტრუქტურა, სამართლებრივი აქტები, ყველა რეგულაცია რაც საჭირო იყო პროგრამის გამართულად ფუნქციონირებისათვის დაწესებულას სწორად ჰქონდა წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შენიშვნები, გასაუბრება შედგა დამსაქმებლებთან, ტრანსკავკაზუს ტერმინალი გახლდათ პრაქტიკის განმახორციელებელი და კადრების დამკვეთი, იყვნენ ასევე სხვა ფირმებიც რომლებიც სამომავლოდ აპირებდნენ პროგრამაში ჩართვას. დათვალიერებულ იქნა პრაქტიკის ობიექტები, ანალოგიური პროგრამა ხორციელდებოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, შესაბამისად გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმი აღნიშნულ დაწესებულებასთან საიდანაც მოწვეული ჰყავდათ ნაწილი აკადემიური პერსონალისა. პროგრამა აკმაყოფილებდა სამივე სტანდარტს.

საბჭოს წევრმა ელგუჯა მელაძემ განაცხადა, რომ ათი სტუდენტი ვერ უზრუნველყოფდა კოლეჯის მდგრადობას, მას აინტერესებდა აპირებდნენ თუ არა სხვა პროგრამების წარმოდგენას და რამდენად ჰქონდათ შესწავლილი ბაზრის მოთხოვნა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 10-10 სტუდენტით იწყებდნენ ბაზრაზე შემოსვლას, 2019 წლისათვის გეგმავდნენ 8 ახალი სარკინიგზო სპეციალობის პროგრამის შეტანას. აღნიშნული პროგრამები გახლდათ მოთხოვნადი ბაზრის კვლევიდან გამომდინარე, იგეგმებოდა დუალური მეთოდების დანერგვა გერმანული მოდელის შესაბამისად. ყველა პროგრამა ორიენტირებული იქნებოდა დასაქმებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 20-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

 9

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს პორფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 20-ით.



3. შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ლევან მადათოვმა განაცხადა, ზემოაღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 2016 წლის 8 და 9 აგვისტოს სხდომებზე, დაწესებულებას უნდა მოეგვარებინა მათი დაფუძნების საკითხი, ვინაიდან მუნიციპალიტეტი გახლდათ აღნიშნული დაწესებულების დამფუძნებელი მას ჰქონდა დაწესებულების მხოლოდ ა(ა)იპ - ფორმით დაფუძნების უფლება, ხოლო დაწესებულება წარმოდგენილი იყო შპს-ს ფორმით. ვინაიდან წარმოების ვადა სრულდებოდა მომდევნო დღეს მიღებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი გადაწყვეტილება.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამგეობის მიერ დაწესებულების სამართლებრივი ფორმა იქნა შეცვლილი, მაგრამ საჯარო რეესტრის მიერ შეჩერებული იყო წარმოება და აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობდა დავა. შესაბამისად ცვლილებები ჯერ არ იყო სახეზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიების კოლეჯს (ს/კ:220346686) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

4. შპს კოლეჯი გამაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა შორენა ჯაფარიძემ და ელენე გვენცაძემ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გადმოგზავნილი ჰქონდა ცენტრში დამატებითი დოკუმენტაცია რის საფუძველზეც შედგენილ იქნა დასკვნა, რომელსაც იგი გააცნობდა საბჭოს წევრებს. ვიზიტის განხორციელების მიზები გახლდათ დაწესებულების მიერ მისამართის ცვლილება.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზები:

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი გამა იჯარის ხელშეკრულებით ფლობდა ქ. ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №94-ში მდებარე სამსართულიანი შენობის მეორე სართულის ნაწილს და მესამე სართულს, რომელთა საერთო ფართი შეადგენდა 454,37 კვ.მ-ს. ექსპერტების მიერ დადგენილ იქნა, რომ დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 2014 წლის 31 ოქტომბრიდან, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულება არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ხოლო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ფართის შეცვლის თაობაზე დაწესებულებამ აცნობა 2015 წლის 20 ნოემბერს.
- შენობის მეორე სართულზე იყო აბრა „ბავშვთა გასართობი ცენტრი ბემბი“, მის ფუნქციონირებას ადასტურებდნენ შენობის სხვა სართულებზე მყოფი ადამიანებიც. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მეორე სართულზე არსებული ფართი არ გამოიყენებოდა.
- კბილის ტექნიკოსის, მასაჟისტის, ფარმაცევტის თანაშემწის, ექთნის თანაშემწის და ბუღალტერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისი სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ფართი დაწესებულებას არ ჰქონდა.
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში არ იყო გამოკრული, წიგნების ნაწილის მოძებნა ბიბლიოთეკაში ვერ მოხერხდა, არსებული წიგნების ნაწილი არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, ხოლო კატალოგები არ იყო მოწესრიგებული.
- მეორე და მესამე სართულზე გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმა, რომელიც არ იყო დამტკიცებული და შეთანხმებული სპეციალურ სამსახურთან. ასევე მესამე სართულებზე განთავსებული იყო სამი ცეცხლმაქრი, მეორე სართულზე ცეცხლმაქრი არ ჰქონდათ.
- არ ჰქონდათ სამედიცინო კაბინეტი. სასწავლო აუდიტორიაში განთავსებული იყო სამედიცინო კარადა, რომელშიც იყო პირველადი სა, ედიცინო დახმარების მედიკამენტები და წნევის აპარატი. დაწესებულებაში იყო ექიმის საშტატო ერთეული, რომელთანაც გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება. წესრიგის დაცვის მექანიზმები გაწერილი იყო დირექტორის 2011 წლის 5 ნოემბრის 01/01/29 ბრძანებით დამტკიცებულ „უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციაში“. დაცვის უზრინველყოფის მიზნით ჰყავდათ დაცვის ერთი თანამშრომელი, რომელთანაც დაწესებულების დირექტორის

განმარტებით გაფორმებული იყო ხელშეკრულება, თუმცა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული ხელშეკრულება არ იყო წარმოდგენილი.

- დაწესებულების მეორე სართულზე მდებარეობდა სველი წერტილი, დამოტაჟებული იყო ხელის მოსაკიდი. დირექტორის განმარტებით გამოიყენებოდა სსსმ პირებისათვის. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მეორე-მესამე სართულზე ასასვლელი პანდუსები არ იყო დამონტაჟებული. ისინი სათადარიგო კიბის უჯრედში იყო დასაწყობებული, ამასთან მათი რაოდენობა უზრუნველყოფდა მხოლოდ მეორე სართულამდე მისვლას.

- დაწესებულების ვებ-გვერდი ბოლოს განახლებული იყო 2015 წელს.

- დაწესებულების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2011-17) და ერთ წლიანი (2015-16) სამოქმედო გეგმების მიზნები და აქტივობების შინაარსი იყო დასაკორექტირებელი, ვიანიდან არსებობდა ცალკეული შეუსაბამობები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით დაწესებულების არგუმენტაცია იყო ნაკლებად დამაჯერებელი. მათი განცხადებით ძველ სასწავლო ფართზე უნდა დაწყებულიყო სარემონტო სამუშაოები, ხოლო რუსთაველის ქ. №94-ში ისინი ერთი წლის მანძილზე იხდიდნენ ქირას და არ ახორციელებდნენ აღნიშნულ მისამართზე სწავლებას, მეცადინეოები ხორციელდებოდა ძველ მისამართზე. პროგრამებისათვის აუცილებელ ინვენტართან დაკავშირებით დაწესებულას წარმოდგენილი ჰქონდა ფოტომასალა, ხოლო დოკუმენტაცია ინვენტარის შეძენის ან ჩუქების თუ თხოვნის შესახებ მათ არ ჰქონიათ.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ არ იცოდა როდის დაიწყებოდა სარემონტო სამუშაოები იმ ფართში სადაც ახორციელებდნენ სწავლებას, ზუგდიდში მოკლე დროში ძალიან რთული იყო ისეთი ფართის მოძიება რომელიც სრულად დააკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, რუსთაველის ქ. №94-ში არსებული ფართი შეესაბამებოდა მათ კრიტერიუმებს. მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა სარემონტო სამუშაოების შესახებ დაწესებულება გადავიდა ახალ ფართში და ინვენტარი გადატანილ იქნა, მათ დაკავებული ჰქონდათ მესამე სართული და მეორე სართულის ნაწილი. გადასვლისთანავე მოხდა ცენტრის საქმის კურსში ჩაყენება. ისინი ახორციელებდნენ საგნობრივ პროგრამებს, პრაქტიკული ნაწილი ხორციელდებოდა მემორანდუმით გათვალისწინებულ პრაქტიკის ობიექტებზე. დაწესებულება მუშაობდა წიგნების გადახალისებაზე მაგრამ ვიანიდან მონიტორინგის დრო დაემთხვა შვებულებების პერიოდს სამუშაოების დასრულება ვერ მოხერხდა.

საბჭოს წევრმა მაია ჩიხლაძემ კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა დაეფიქსირებინა თუ რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი და სასწავლო პროგრამები, რომელსაც ახორციელებდა დაწესებულება არსებულ გარემოში გადიოდა თუ არა შედეგზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ჯგუფს ევალებოდა მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადამოწმება, დაწესებულებაში შეუძლებელი იყო სასწავლო პრაქტიკის განხორციელება ვიანიდან დაწესებულებას არ ჰქონდა სათანადო აღჭურვილობები. შესაბამისად ექსპერტის განცხადებით დაწესებულების ფართი არ შეესაბამებოდა სასწავლო გარემოს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2017 წელს მათ უწევდათ ავტორიზაცია, აპირებდნენ ახალ ფართზე მოდულური პროგრამების განხორციელების დაწყებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გამასთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კოლეჯ გამას (ს/კ: 419984262) გაუუქმდეს ავტორიზაცია.



5. შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ელენე გვენცაძემ, შორენა ჯაფარიძემ და მარინა გოგოლაძემ.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებების გადამოწმებისას დადგინდა, რომ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 11 ორგანიზაციასთან ძირითადად 2014-15 წლებში, მათი მოქმედების ვადა იყო 1 თვიდან 2 წლამდე. ამასთან ყველა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა ამოწურული იყო.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

შპს პროფესიული კოლეჯი ინტელექტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ზუგდიდსა და სენაკში. დაწესებულება ქირავნობის ხელშეკრულებით ფლობდა ქ.ზუგდიდში თბილისის ქ.№23-ში მდებარე ორსართულიანი შენობის პირველ სართულს. ზუგდიდის ფართზე ხელშეკრულება დადებული იყო 2016 წლის 30 მარტს 1 წლის ვადით. ხელშეკრულება გატარებული იყო საჯარო რეესტრში. აღსანიშნავი იყო, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისი სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ფართი დაწესებულებაში არ იყო. აღსანიშნავი იყო, რომ შრომითი ხელშეკრულებები ექიმთან, დარაჯთან საჭიროებდა განახლებას, ვინაიდან მათი მოქმედების ვადა ამოწურული იყო. ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა სკოლის ვებ-გვერდი, თუმცა არსებობდა ხელშეკრულება №PRO 09/1201 დომენის სახელის რეგისტრაციის და მისი მომსახურების შესახებ, ასევე ინტერნეტ მომსახურების საფასურის გადახდის ქვითრები.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

მასწავლებლებთან დადებულ შრომითი ხელშეკრულებების უმრავლესობაში მითითებული იყო ვადა 2014 წლის 1 ივნისიდან-2015 წლის 1 ივნისამდე. მათი მოქმედების ვადა იყო გასული და საჭიროებდა განახლებას. ხელშეკრულებებში არ იყო დაკონკრეტებული შესრულებული სამუშაოს სახე ანუ არ იყო მითითებული რომელი სასწავლო კურსის განხორციელება ევალებოდა მასწავლებელს. ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული სამუშაო ადგილი (ზუგდიდი-სენაკი).

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა სხდომაზე წარმოადგინა განახლებული შრომითი ხელშეკრულებები. ზუგდიდის და სენაკის ფართზე განახლებული გახლდათ საჯარო რეესტრის ამონაწერი.

ავტორიზაციის მიღების დროს ყველა ხელშეკრულება იყო მოქმედი, ვადა მათ გასდიოდა მონიტორინგის მეორე დღეს და ხელახლა იქნა დადებული ერთი წლის ვადით 2016 წლის სექტემბრის თვიდან. ასევე გაგრძელებული იქნა საწარმოო პრაქტიკის მემორანდუმების ვადებიც.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ ჰკითხა წარმომადგენელს თუ რატომ არ გადმოაგზავნა ახალი ხელშეკრულებები საბჭოს სხდომამდე ცენტრში და რატომ არ აცნობა ამის თაობაზე ცენტრს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი არ იყო საქმის კურსში იმის თაობაზე რომ წინასწარ უნდა გადმოეგზავნა განახლებული ხელშეკრულებები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის (ს/კ:406071691) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:00 საათზე.

თავმჯდომარე

ნიკოლოზ ჩაჩხიანი

მდივანი

ირაკლი ბაიდაშვილი